UDC 37
SCOPUS CODE 3304
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-368-37

საქართველოში პროფესიული განათლების დუალური მოდელის დანერგვის მნიშვნელობა – შედეგები და გამოწვევები

გიორგი მამულაშვილი — საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: mamulashvili.gio@gtu.ge

თინათინ იაშვილი — საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: iashvili.tina@gmail.com

რეცენზენტები:

ე. ნარეშელაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პრპოფესორი, საჯარო მმართველობის დოქტორი
E-mail: e.nareshelashvili@gtu.ge

ნ. ღუდუშაური, სსიპ კოლეჯ „მერმისის“ დირექტორი, საჯარო მმართველობის დოქტორი
E-mail: nonagudushauri@gmail.com

ანოტაცია. პროფესიული განათლების სისტემაში დუალური მოდელის დანერგვა პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. სტატიაში გაანალიზებულია გერმანული გამოცდილების ადაპტაციის პროცესი საქართველოში, მისი გავლენა კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და კონკურენტუნარიანობაზე; ნაჩვენებია, რომ დუალური განათლება საქართველოში ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და ამცირებს შრომის ბაზრის კვალიფიკაციის შეუთავსებლობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თეორიული და პრაქტიკული სწავლებების ინტეგრირების ასპექტებს, ასევე ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გაძლიერების მექანიზმებს, პროფესიულ განათლებაში თანამედროვე მიდგომებს და არსებულ გამოცდილებას. ასევე, წარმოდგენილია მოკლე შედარებითი ანალიზი, სადაც მოცემულია ქართულ და გერმანულ მოდელებში არსებული განსხვავებები. განხილულია მოდელის დანერგვის გამოწვევები, შედეგები და შემუშავებულია რეკომენდაციები სისტემის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: დასაქმება; დუალური განათლება; პრაქტიკული სწავლება; პროფესიული განათლება; საქართველო; შრომის ბაზარი.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის შესაბამისობის მუდმივი უზრუნველყოფა. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მნიშვნელოვანი პრობლემაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის დონე 20-24 წლის ახალგაზრდებში 31%-ია, რაც ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება [4].

აღნიშნულ გამოწვევაზე პასუხად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით დაინერგა დუალური სწავლების მოდელი, რომელიც პროფესიული განათლების სისტემის გაჯანსაღებას უწყობს ხელს. აღნიშნული სწავლების ფორმა აერთიანებს თეორიულ სწავლებას საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პრაქტიკულ მომზადებას სამუშაო ადგილზე. განსაკუთრებით წარმატებულია გერმანიის გამოცდილება, სადაც დუალური პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 80%-ს შეადგენს [1]. ასევე აღსანიშნავია შვეიცარიის მაგალითი, სადაც კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 95%-ს აღწევს [9].

ძირითადი ნაწილი

პროფესიული განათლების სისტემაში დუალური სასწავლო პროგრამების დანერგვა საქართველოში 2016 წლიდან დაიწყო, რაც პროფესიული განათლების ყოვლისმომცველი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია. ინიციატივის უმთავრესი მიზანი თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს შორის არსებული მწვავე დისბალანსის აღმოფხვრას ემასხურებოდა, რაც წლების განმავლობაში საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დღეს საქართველოს მასშტაბით დუალური პროგრამები 20-ზე მეტ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება, სადაც პროგრამების განხორციელების პროცესში 90-ზე მეტი კერძო სექტორის წარმომადგენელია ჩართული. დუალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება თავდაპირველად ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე სასწავლებელში დაიწყო. ესენი იყვნენ: კახეთში - სსიპ კოლეჯი "აისი" (გურჯაანი), მცხეთა-მთიანეთში - სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი (მცხეთა), სამეგრელო-ზემო სვანეთში - სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ზუგდიდი), და სამცხე-ჯავახეთში - სსიპ კოლეჯი "ოპიზარი" (ახალციხე). ეს გეოგრაფიული არჩევანი ასახავდა როგორც რეგიონული განვითარების პრიორიტეტებს, ისე ადგილობრივი ეკონომიკის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ სისტემის შემდგომი განვითარებისთვის 2022 წელს ორი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი დამტკიცდა: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილება "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრა-

მის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის-/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობები" [5] და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 05 სექტემბრის N451 დადგენილება "პირის მიერ სასწავლო საწარმოს სტატუსის მოპოვების წესი და პირობები" [5].

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ ან იმიტირებულ სამუშაო გარემოში, სადაც სტუდენტები პარალელურად ავითარებენ როგორც პროფესიულ, ისე ტრანსფერულ უნარებს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების მჭიდრო კავშირს შრომის ბაზართან და მრავალმხრივ სარგებელს ქმნის ყველა ჩართული მხარისთვის: საწარმოები იღებენ მათ საჭიროებებზე მორგებულ კადრებს, სტუდენტებს ეძლევათ დასაქმების უკეთესი შესაძლებლობები, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები იღებენ წვდომას თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეებზე.

განხორციელებული ინტერვენციების შედეგად წლიდან წლამდე მზარდია დანერგილი დუალური პროგრამების და ამ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა – 2022 წლის მდგომარეობით სისტემაში ხორციელდებოდა 40-მდე დუალური პროგრამა, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობამ კი 550-ს მიაღწია, რაც 2021 წელთან შედარებით 35%-იანი ზრდაა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მხარდაჭერისა და კონსულტირების შედეგად, 2022 წელს ცამეტმა საჯარო დაწესებულებამ 395 ადგილზე მოიპოვა დუალური პროგრამების განხორციელების უფლება. რაც შეეხება კურსდამთავრებულების რაოდენობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული მონაცემების მიხედვით ბოლო ორი წლის განმავლობაში დუალური პროგრამები დაასრულა 462-მა სტუდენტმა **იხ. ცხრილი 1.**

ცხრილი 1

წელი	**კურსდამთავრებულთა რაოდენობა**
2022	237
2023	225
ჯამში	**462**

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დუალური პროფესიული განათლების დანერგვის მნიშვნელობა საქართველოსთვის განპირობებულია რამდენიმე ფუნდამენტური ფაქტორით. უპირველესად, ეს მოდელი უზრუნველყოფს განათლების სისტემის სინქრონიზაციას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან. საქართველოს ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის (2023) ანგარიშის თანახმად, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელია კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა ისეთ სტრატეგიულ სექტორებში, როგორიცაა წარ-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

მოება, ლოჯისტიკა და მომსახურების სფერო.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია სოციალური მობილობის ხელშეწყობა. მსოფლიო ბანკის (2023) შეფასებით, საქართველოში ახალგაზრდების დაახლოებით 30% არ არის ჩართული არც განათლებაში და არც დასაქმებაში. დუალური განათლება მათთვის წარმოადგენს რეალურ შესაძლებლობას პროფესიული განვითარებისა და შრომის ბაზარზე ინტეგრაციისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული განვითარების კონტექსტი. საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის დუალური განათლების სისტემის განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის გაზრდისა და ადგილობრივი შრომის ბაზრის გაძლიერებისთვის.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით აღსანიშნავია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები პროფესიული განათლების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების კუთხით. ევროპული განათლების ფონდის (ETF, 2023) შეფასებით, დუალური განათლების დანერგვა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპეიზაციის პროცესში [2].

შედარებითი ანალიზი: გერმანული და ქართული დუალური პროგრამები

დუალური პროფესიული განათლების დანერგვის გამოწვევებისა და შესაძლებლობების უკეთ გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია გერმანული და ქართული დუალური პროგრამების შედარებითი ანალიზი. გერმანიაში ორმაგი ანუ დუალური სისტემის ტრადიცია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. თანამედროვე სტრუქტურები შეიქმნა XX ს-ის 60-იან წლებში და ფორმალური გახდა 1969 წლის პროფესიული მომზადების კანონით [3]. საქართველოში ორმაგი ანუ დუალური სასწავლო პროგრამების დანერგვა შედარებით ახალია და დაიწყო 2016 წელს განათლების რეფორმის ფარგლებში [8].

სტრუქტურისა და ხანგრძლივობის მიხედვით, გერმანიაში პროგრამები ჩვეულებრივ გრძელდება ორ-სამ წელიწადნახევრამდე. ტრენინგის გეგმა მოიცავს ფიქსირებულ როტაციას პროფესიულ სკოლასა და კომპანიას შორის. საქართველოში ხანგრძლივობა მერყეობს პროგრამის მიხედვით. აქაც მჭიდრო კავშირია თეორიულ გაკვეთილებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს შორის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პროგრამები შეიძლება განსხვავებული იყოს, **ცხრილი 2.**

ცხრილი 2

მახასიათებელი	გერმანია	საქართველო
ისტორია	შუა საუკუნეებიდან, ფორმალიზებული 1969 წლიდან	დაიწყო 2016 წლიდან
ხანგრძლივობა	2-3 წელი	ცვალებადი
ანაზღაურება	რეგულარული ანაზღაურება, იზრდება პერიოდულად	მინიმალური, 250-400 ლარი
მხარდაჭერა	ძლიერი ინსტიტუციური და სამართლებრივი მხარდაჭერა	საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით

რაც შეეხება პროგრამების განხორციელებასა და მხარდაჭერას:

- **გერმანიაში:**
  - ✓ კომპანიები და პროფესიული სკოლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან.
  - ✓ არსებობს ძლიერი ინსტიტუციური მხარდაჭერა და მკაფიო სამართლებრივი რეგულაციები.
  - ✓ სავაჭრო პალატები აქტიურ როლს ასრულებს კოორდინაციასა და ხარისხის უზრუნველყოფაში.
- **საქართველოში:**
  - ✓ პროგრამების მხარდაჭერა ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და გერმანულ ინსტიტუტებთან პარტნიორობით.
  - ✓ ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ცოდნის გადაცემისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის.
  - ✓ თუმცა, ეს არ არის საკმარისი დიდი რაოდენობით მსურველების მომზადებისთვის, რომლებიც დუალურ პროგრამებს ირჩევენ.

დაფინანსების გამოწვევები: დაფინანსებასა და ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გერმანიაში მსმენელები იღებენ ანაზღაურებას, რომელიც იზრდება სასწავლო პერიოდის განმავლობაში. დაფინანსების უმეტესი ნაწილი კომპანიებისგან მოდის. საქართველოში კომპენსაციის სტრუქტურა შეიძლება განსხვავდებოდეს და ხშირად დამოკიდებულია ინდივიდუალურ პარტნიორობაზე და პროგრამის კონკრეტულ პირობებზე. დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი კომპანიების და საერთაშორისო დაფინანსების მხარდაჭერით, რაც უნდა ითქვას, მინიმალურია და არ არის საკმარისი მუდმივი და ყოველდღიური ხარჯების უზრუნველსაყოფად.

კარიერული პერსპექტივების თვალსაზრისით, გერმანიაში კურსდამთავრებულებს აქვთ შესანიშნავი შესაძლებლობები სამუშაო ბაზარზე. ორმაგი სისტემა ძალიან პოპულარულია და მსმენელებზე დიდი მოთხოვნაა მათი პრაქტიკული გამოცდილების გამო. საქართველოში ორმაგი პროგრამების მიზანია კურსდამთავრებულთა დასაქმების უნარის გაზრდა და სამუშაო ბაზართან მჭიდრო კავშირის შექმნა. საწყისი შედეგები იმედის მომცემია, მაგრამ დრო დასჭირდება ისეთივე აღიარებისა და ეფექტურობის მიღწევას, როგორც გერმანიაშია.

დუალური სწავლების სისტემას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებისთვის, რადგან ის გვთავაზობს უამრავ უპირატესობას:

- შრომის ბაზრის კვალიფიციური კადრით უზრუნველყოფა.
- კომპანიებს შეუძლიათ მოამზადონ მსმენელები სპეციალურად საკუთარი კომპანიის საჭიროებების შესაბამისად.
- კონკურენტუნარიანობის გაძლიერება – კვალიფიციური სპეციალისტები ხელს უწყობენ კომპანიების ინოვაციურ სიძლიერესა და კონკურენტუნარიანობას.
- დადებითი გავლენა ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირებაზე.
- ხელს უწყობს სოციალურ და ეკონომიკურ სტაბილურობას.

რაც შეეხება ახალ ტენდენციებსა და ინოვაციებს პროფესიულ მომზადებაში, დუალური სისტემა მუდმივად აწყდება როგორც სხვადასხვა გამოწვევას, ისე

უამრავ შესაძლებლობას, რომლებიც ყალიბდება გლობალური და ტექნოლოგიური განვითარებით. პროფესიული სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციები და ინოვაციები ამ ეტაპზე მოიცავს:

- ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესაძლებლობას.
- მომზადების ინდივიდუალიზაციას.
- ინტერდისციპლინურობას.
- დიგიტალიზაციას, რომელიც გავლენას ახდენს დუალურ სწავლებაზე მრავალი გზით:
  - ✓ ელექტრონული და შერეული სწავლება.
  - ✓ ციფრული უნარების სწავლების მნიშვნელობის ზრდა.
  - ✓ ავტომატიზაცია და AI-ს გავლენა პროფესიულ მოთხოვნებზე.

დუალურ სწავლებას აქვს პოტენციალი უფრო ფართოდ გავრცელდეს და მოერგოს საერთაშორისო დონეზე. ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, უკვე აჩვენებენ თავდაპირველ წარმატებას ორმაგი სისტემების დანერგვაში. შემდგომი პოტენციალი შეიძლება მოიცავდეს:

- ადგილობრივ საჭიროებებთან ადაპტაციას.
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.
- გლობალური კვალიფიციური მუშაკების ხელშეწყობას.

იმისათვის, რომ დუალური სწავლების მოდელი იყოს მდგრადი, საჭიროა სხვადასხვა სტრატეგია:

- სისტემის რეგულაციების მოდერნიზაცია.
- მიმზიდველობის გაზრდა ახალგაზრდებისთვის.
- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მხარდაჭერის გაძლიერება.
- მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ხელშეწყობა.

საერთო ჯამში, დუალური სწავლების მეთოდი გვთავაზობს მყარ საფუძველს პროფესიული კვალიფიკაციისა და ეკონომიკური განვითარებისთვის. უწყვეტი ადაპტაციისა და ინოვაციების მეშვეობით, მას შეუძლია გაუმკლავდეს გამოწვევას და დააკმაყოფილოს მომავლის მოთხოვნილებები. გერმანიის მრავალწლიანი გამოცდილება და საქართველოს მიერ ამ მოდელის ადაპტაცია ხაზს უსვამს დუალური სწავლების სისტემის მნიშვნელობას თანამედროვე, ცოდნის საფუძველზე დაფუძნებული ეკონომიკის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

დასკვნა

დუალური პროფესიული განათლების დანერგვა საქართველოში წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს განათლების სისტემის მოდერნიზაციის გზაზე. გერმანულ მოდელთან შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი – პროგრამების რაოდენობისა და ჩარიცხული სტუდენტების სტაბილური ზრდა (35%-იანი ზრდა 2021 წელთან შედარებით), სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება 2022 წლის რეგულაციებით, თეორიული და პრაქტიკული სწავლების ეფექტური ინტეგრაცია და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება.

თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები – არასაკმარისი დაფინანსება მუდმივი ხარჯების უზრუნველსაყოფად, სტუდენტთა კომპენსაციის არასტაბილური სისტემა და სუსტი ინსტიტუციური მხარდაჭერა – ინსტიტუციური მხარდაჭერის გაძლიერების საჭიროება. აღნიშნული გამოწვევების დასაძ-

ლევად მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სახელმწიფოს მხარდაჭერა დაფინანსების კუთხით, შეიქმნას სტუდენტთა კომპენსაციის ერთიანი სტანდარტი, გაფართოვდეს საერთაშორისო თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების მიზნით და მოხდეს პროგრამების ადაპტაცია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. ასევე, საჭიროა ისეთი მოდელის დანერგვა, რომელიც შრომის ბაზრის რეგულარულ ანალიზზე იქნება დაფუძნებული და უფრო მჭიდროდ დააკავშირებს განათლებას ეკონომიკის საჭიროებებთან.

დუალური განათლების მოდელის წარმატებული დანერგვა ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, ახალგაზრდების დასაქმებას და პროფესიული განათლების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა ამ პროცესში, რაც გააძლიერებს კავშირს განათლებასა და შრომის ბაზარს შორის.

ლიტერატურა

1. Bundesinstitut für Berufsbildung. (2023). Datenreport zum Berufsbildungsbericht 2023. . Bonn, Germany.
2. European Training Foundation. (n.d.). Retrieved from https://www.etf.europa.eu/en/where-we-work/countries/georgia
3. Berufsbildungsgesetz (BBiG). (1969). Retrieved from https://www.gesetze-im-internet.de/bbig_2005/BJNR093110005.html
4. National Statistics Service. (2023). *Labor Force Indicators by Age Groups*. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
5. Government of Georgia. (2022). *Resolution №451 of the Government of Georgia September 5, 2022 Tbilisi*. Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/5560778?publication=0
6. Ministry of Education and Science of Georgia. (2023). *2022 Action Plan Report of the Unified National Strategy for Education and Science of Georgia.* Retrieved from https://mes.gov.ge/: https://mes.gov.ge/uploads/2023/2022%20VET%20angarishi.pdf
7. Government of Georgia. (2022). *On Approval of the Rules and Conditions for Implementation of Vocational Education Program/Short-Cycle Educational Program/Professional Training Program/Professional Retraining Program in the Form of Work-Based Learning*. Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/5541071?publication=0
8. Vocational Education Reform Report (2017-2018). (n.d.). *Vocational Education Reform Report*. Retrieved from https://www.mes.gov.ge/content.php?id=8806&lang=geo

UDC 37
SCOPUS CODE 3304
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-368-375

The Importance of Implementing the Dual Model of Vocational Education in Georgia - Results and Challenges

Giorgi Mamulashvili Department of public administration and E-business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: mamulashvili.gio@gtu.ge

Tinatin Iashvili Department of public administration and E-business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: iashvili.tina@gmail.com

Reviewers:

E. Nareshelashvili, assosiate professor, doctor of public administration, faculty of business technology, GTU
E-mail: e.nareshelashvili@gtu.ge
N. Gudushauri, doctor of public administration,director of LEPL college „Mermisi"
E-mail: nonagudushauri@gmail.com

Abstract. The implementation of the dual education model in the vocational education system represents an important step in modernizing the vocational education system. The article analyzes the process of adapting German experience in Georgia and its impact on graduate employment and competitiveness. The article demonstrates that dual education in Georgia increases graduate employment rates and reduces skills mismatch in the labor market. Special attention is paid to aspects of integrating theoretical and practical training, as well as mechanisms for strengthening cooperation with the business sector, modern approaches in vocational education, and existing experience. Additionally, a brief comparative analysis is presented analyzing the differences between the Georgian and German models. The challenges and results of implementing the model are discussed, and recommendations are developed to improve system efficiency

Keywords: dual education; employment; Georgia; labor market; vocational education; practical training.

განხილვის თარიღი 22.10.2024
შემოსვლის თარიღი 10.12.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025